


ელექტრონული ჰიუსტონი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ცოლონანი“

პროექტის „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება „თვითრეპატრიაციის“ პრევენცია“ ფარგლებში საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ განხორციელებული საქმიანობები



დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

იურიდიული კონსულტაციები საზოგადოებრივ ადვოკატთან



გოვჭხაროვი

გოვჭხაროვების ოჯახი 2009 წელს გადმოვიდა მუდმივად საცხოვრებლად საქართველოში, კერძოდ ახალციხეში. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ კანონის საფუძველზე მათ შეიტანეს საბუთები რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად, თუმცა არ დალოდებიან სტატუსის მიღებას, გაყიდეს კუთვნილი ქონება აზერბაიჯანში და გადმოვიდნენ საქართველოში. 2011 წლის 26 თებერვალს მაჰმუდ გოვჭხაროვი წავიდა აზერბაიჯანში თვალის ოპერაციის გასაკეთებლად. უკან დაბრუნებისას, საზღვარზე აღნიშნულ პირს უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე და უკვე თითქმის 2 წელია იმყოფება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და ვერ ახერხებს საქართველოში დაბრუნებას. სიტუაციას ამძიმებს ის ფაქტი, რომ ბატონი მაჰმუდი ხანდაზმული ასაკისაა და მისი

ჯანმრთელობის მდგომარეობა სავალალოა. მთელი მისი ოჯახი ცხოვრობს საქართველოში და აქედან გამომდინარე არ აქვს საცხოვრებელი აზერბაიჯანში და ნათესავებთან უწევს ღამის გათევა.

ასოციაცია „ტოლერანტის“ საზოგადოებრივი ადვოკატმა ინფორმაცია მიაწოდა როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე სახალხო დამცველის აპარატს და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები საკითხის გადაწყვეტაზე.

ბადირშა (რამილ) ხამდიევი

ხამდიევის ოჯახი 2003 წელს გადმოვიდა საქართველოში ყირგიზეთიდან მუდმივად საცხოვრებლად. კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შეიტანეს განცხადება საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესახებ რომელიც მხოლოდ ოჯახის უფროსს დაუკმაყოფილეს, ხოლო ცოლი როზა ხამდიევა და შვილები რამილი და ფილურა კვლავაც მოქალაქეობის გარეშე იმყოფებიან. მათთან საუბრიდან ირკვევა რომ მოქალაქეობის მიღებაზე მათ არა ერთხელ შეიტანეს განცხადება თუმცა უშედეგოდ. 2010 წელს რამილ ხამდიევმა დაამთავრა სკოლა და იქიდან გამომდინარე, რომ არ არის საქართველოს მოქალაქე და არ გააჩნია არანაირი საბუთი დაბადების მოწმობის გარდა ვერ იღებს ატესტატს და ვერ აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. ამავე მიზეზით ვერ იწყებს ოფიციალურად მუშაობას. 2012 წელს როზა ხამდიევამ დაკარგა პასპორტი, რის გამოც ვერ ხერხდება განმეორებით საბუთების შეტანა მოქალაქეობის მიღებაზე.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა მიმართა როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე ყირგიზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საკონსულოებს თურქეთსა და უკრაინაში. ამ ეტაპზე ველოდებით პასუხს ყირგიზეთიდან რათა დაიწყოს საქმის წარმოება ყირგიზეთის პასპორტის აღებაზე და შემდგომ მოხდეს საბუთების შეტანა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე.

თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ სოციალურ პროგრამებში.

საზოგადოებრივი ადვოკატის და პროექტის ფსიქოლოგის დახმარებით ყურადღების ოჯახს მოუგვარდათ რეგისტრაციის პრობლემა, ასევე ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით დაენიშნათ სამედიცინო დაზღვევა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები თბილისის მერიასთან მათთვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით.

რეიზ მანზულოვი

იურისტების შეხვედრა ახალციხეში



ბაირამ/დათო ყურაძე

ბაირამ/დათო ყურაძე ბოლო 8 წელია ცხოვრობს თბილისში ლუბლიანას 5 ნომერში მდებარე ქართული კინოფილმის ტერიტორიაზე მდებარე ავტო პროფილაქტიკის ეზოში მდგარ ავტობუსში, ცოლთან, შვილებთან და შვილიშვილთან ერთად. ადგილზე მისვლისას აღმოჩნდა, რომ არ გააჩნიათ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები. არ აქვთ სამედიცინო დაზღვევა. აქვთ რეგისტრაციის პრობლემა რის გამოც ვერ მონაწილეობენ

რეიზ მანზულოვმა 2009 წელს სოფელ კლდეში შეიძინა საცხოვრებელი სახლი საკარმიდამო ნაკვეთით, მესაკუთრესთან გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება 2009 წლის 15 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მოახდინა აღნიშნული საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის რეიზ მანზულოვზე გადაფორმება, რეგისტრაცია, ამავე წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა საჯარო რეესტრის მიერ 15 ოქტომბრის რეგისტრაცია და აღნიშნული ქონება დაუბრუნდა ძველ მფლობელს. საჯარო რეესტრის განმარტებით მიწა რომელზეც მდებარეობს სახლი არის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების, რის გამოც საქართველოს კანონის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მე-5 მუხლის 2 პუნქტის თანხამად უხვო ქვეყნის მოქალაქეზე მიწის გაფორმება არ მოხდება, ხოლო რეიზ მანზულოვი არის აზერბაიჯანის მოქალაქე. აღნიშნულიდან გამომდინარე იგი ვერ გახდება მიწის მფლობელი მანამ, სანამ არ მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.

როგორც საზოგადოებრმა ადვოკატმა გაარკვია (საჯარო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით), შეცდომა დაუშვა საჯარო რეესტრმა, როდესაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გააფორმა როგორც არასასოფლო-სამეურნეო მიწა, რის შედეგადაც მოხდა ეს გაუგებრობა. ამ ეტაპზე, პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა არის, რომ ბატონი რეიზი დაელოდოს მოქალაქეობის მიღებას, რის შემდეგაც შეძლებს მიწის ხელ-ახლა გაფორმებას თავის სახელზე.

განათლების პრობლემა

საქართველოში დაბრუნების მსურველმა პირებმა „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეაპატრაციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიტანეს საბუთები რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად, თუმცა ზოგიერთი მათგანი არ დალოდებია სტატუსის მიღებას და ჩამოვიდნენ საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად და შესაბამისად შვილები შეიყვანეს ქართულ სკოლებში.

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 6 იანვრის ბრძანების 4 მუხლის „გ“ პუნქტის თანხამად უჩერდებოდათ მოსწავლის სტატუსი თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი (გარდა საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირისა) სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე. ვინაიდან აღნიშნული პირები ჯერ არ არიან საქართველოს მოქალაქეები და ამავე დროს

ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე არა აქვთ შესაძლებლობა გადაიხადონ კანონით დადგენილი ვაუჩერის საფასური უჩერდებათ მოსწავლის სტატუსი.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა მოახდინა რეაგირება აღნიშნულ საკითხზე, გაიგზავნა წერილები როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოების სახელზე. მივაწოდეთ ინფორმაცია და ჩავაყენეთ საქმის კურსში იმის შესახებ თუ რა შედეგს გამოღებდა მინისტრის ბრძანება თვითრეპატრირებული მესხების მიმართ. შედეგად, საქართველოს სამოქალაქო რეესტრიდან მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნულ ბავშვებს უკვე მიენიჭათ პირადი ნომრები, თუმცა სკოლებში ეს ინფორმაცია ამ დრომდე არ ფიქსირდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით.